დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით სიხარულიძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია ნაცვლიშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ციცინო თურქაძე, სსიპ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ანა მჭედლიშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი

2022

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჭაური), 6309, საქართველო
ვებ-გვერდი	https://tbeli.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	N29, 23.08.2019
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	23.08.2025

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	21
ბაკალავრიატი	9
მაგისტრატურა	11
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	991	237	1766
ბაკალავრიატი	296	77	1088
მაგისტრატურა	665	154	493
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	30	6	111
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ჰ^{48}$ პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	113
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	74
- პროფესორი	38
- ასოცირებული პროფესორი	23
- ასისტენტ პროფესორი	1
- ასისტენტი	12
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	45
- მეცნიერი	45
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	74
- აფილირებული პროფესორი	38
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	23
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**1**
- აფილირებული ასისტენტი	12
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	27
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	12

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	8951.4 კვ - მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5164.01 კვ - მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3787.39 კვ - მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: 2022 წლის 6 მაისის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტის მიერ გამოცემული ბრძანების MES 9 22 0000459462 -ის საფუძველზე შედგა ექსპერტთა ჯგუფი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგი განხორციელდა ელექტრონული პლატფორმა Zoomის საშუალებით 2022 წლის 27 მაისს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მასალებს და გარკვეული საკითხები დააზუსტა ინტერვიუების საშუალებით, ისევე, როგორც გამოითხოვა დამატებით მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტისგან ყველა დამატებითი მასალა მოწოდებულ იქნა დროულად. ყველა ამ კომუნიკაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა და წარმოადგინა დასკვნა. სამუშაო პროცესი და შეხვედრები წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში. ექსპერტთა მიერ შეფასდა უსდ-ების ავტორიზაციის ყველა სტანდარტი, რაზეც გაცემული იყო რეკომენდაციები და ასევე შეფასდა მათთან დაკავშირებული საკითხები ბოლო საანგარიშო პერიოდში, რის საფუძველზეც გაკეთდა შეფასება.
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: ____**2022 წლის 4 თებერვალი (ოქმი №148049)**_____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
2.1 კომპონენტი: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მმართველი საბჭოების წევრებით დაკომპლექტება განხორციელდეს არჩევის წესით.	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** უნივერსიტეტი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მასზე არ ვრცელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის IV, V (გარდა 32-ე–35-ე მუხლებისა) და XIV თავებით გათვალისწინებული ნორმები.

	უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წარმოადგენს მართვის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი. აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლეგიალურად, აზრთა ურთიერთგაზიარების გზით. აკადემიური საბჭოს წევრები ინიშნებიან ოთხი წლის ვადით, წევრის დანიშვნა შეიძლება ზედიზედ ორჯერ. რეკომენდაციის მიხედვით, პირველი ეტაპის სამუშაოების რანგში, დაწესებულებამ შეიმუშავა საკვალიფიკაციო მოთხოვნები საბჭოების წევრობის კანდიდატების მიმართ. აკადემიური საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობს მქონე, ინიშნება შიდა კონსულტაციების გზით, სასწავლო და სამეცნიერო პროცესში აქტიურად ჩართულობის, კადრის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და ზოგადი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.
2.1 კომპონენტი: უნივერსიტეტმა მართვაში უნდა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტაციის ელექტრონული წარმოების სისტემა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2021 წლის დეკემბრიდან უნივერსიტეტმა გააქტიურა სამუშაოები საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში „e-document“ ჩართვისა და გამოყენების მხრივ. შედეგად, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას საქმისწარმოებისათვის. უნივერსიტეტმა ასევე დანერგა ელექტრონული სერვისი სასწავლო პროცესის მართვაში. 2022 წლის 21 იანვარს გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ,,პოსტი.ჯი''-სთან, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი სარგებლობს სასწავლო პროცესის მართვის ე.წ. ,,ელეტრონული ჟურნალის“ სისტემით. ელექტრონული ჟურნალი მოქმედია, პილოტირების პროცესშია და მას იყენებენ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.
2.1 კომპონენტი: დაწესებულებამ გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ორგანიზაციებთან, რომლებიც იქნება ქმედითი და სტუდენტებსა და (აკადემიურ /ადმინისტრაციულ) პერსონალს ექნება ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის უფრო მეტი შესაძლებლობა.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** რეკომენდაციის შესრულება საჭიროებს ღონისძიებებს გრძელვადიანი პერიოდით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებას ახალი მემორანდუმები გაფორმებული არ აქვს, თუმცა უნივერსიტეტის მენეჯმენტის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, ფაკულტეტის დეკანებთან და სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე აღინიშნა გადადგმული ნაბიჯები თურქეთისა და ინგლისის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაზე, რომელიც ასევე წარმოადგენს ქმედებებს 5.2 კომპონენტის რეკომენდაციის შესრულებისათვის (იხ. 5.2 კომპონენტის აღწერა). ამასთან, დაწესებულებამ განაახლა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელშიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხედვა, მიზანი და ამოცანები ინტერნაციონალიზაციის გაზრდისათვის,

	საანგარიშო პერიოდში დააფინანსა სამეცნიერო ექსპედიცია თურქეთის ტერიტორიაზე, რაც ასევე უკავშირდება მოცემული რეკომენდაციის შესრულებას.
2.1 კომპონენტი: უნივერსიტეტმა უნდა დააარსოს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის №01-03/29 ბრძანებით დამტკიცდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება, ხოლო 2021 წლის 21 დეკემბრის ბრძანებით #01-03/33 ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის დებულებაში, რომლის მიხედვით (მუხლი 3. უნივერსიტეტის სტრუქტურა) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს. 2022 წლის 23 თებერვლის #01-05/02 ბრძანებით დაინიშნა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო 2022 წლის 30 მარტის #01-05/05 ბრძანებით დაინიშნა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი.
2.2 კომპონენტი: უნივერსიტეტმა დანერგოს საინფორმაციო რესურსები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანად განსახორციელებლად.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: 1. სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავება და მონიტორინგი სრულდება ელექტრონული პროგრამების გამოყენებით; 2. სტუდენტების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებისათვის შედგენილია და გამოიყენება გუგლის პლატფორმის ელექტრონული კითხვარები. ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვითი სამუშაოები. შედეგად, უნივერსიტეტმა დაიწყო ე.წ. ელექტრონული ჟურნალის გამოყენება, სადაც თავს იყრის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოცულობითი ინფორმაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მზადაა შეასრულოს ამ ინფორმაციის ანალიზი და გამოიყენოს ის შეფასების პროცესისათვის. მოცემული სამუშაოები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა გადადგა ქმედითი ნაბიჯები ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამუშაოებში საინფორმაციო რესურსების შესაძლებლობების გამოყენების მხრივ.
3.2 კომპონენტი: დასრულდეს ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მიხედვით პროგრამების მოდიფიცირების და შესაბამის კვალიფიკაციებზე გადაყვანის პროცესი.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები წარმოდგენილია ახალი კვალფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. მილევად რეჟიმში მოქმედებს აგრარული მიმართულების ორი - საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრმა.

3.2 კომპონენტი: დაწესებულებაში მოქმედი დამატებითი სპეციალობის პროგრამებისთვის (ე.წ. მაინორ პროგრამების) განისაზღვროს ცალკე დამოუკიდებელი სტრუქტურა, მიზანი, შედეგი, სასწავლო კურსები.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან დაწესებულების დამატებითი სპეციალობის პროგრამებისთვის ცალკე განსაზღვრულია პროგრამის დამოუკიდებელი სტრუქტურა, მიზანი, შედეგი, სასწავლო კურსები. შესაბამისი აღწერილობა შესულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.
3.2 კომპონენტი: პროგრამების მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნები, სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში ასახულია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობა პროგრამების მოდიფიცირებისას. ამასთან, პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირებისას ხდება დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან, ასევე, კურსდამთავრებულებთან მჭიდრო პირადი კონტაქტებისა და ინტერვიუების შედეგად მათი საჭიროებების დადგენა და პროგრამებში ამ საჭიროებების შეძლებისდაგვარად ასახვა.
3.2 კომპონენტი: მოხდეს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირების დროს.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში ასახულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირების დროს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება. ამასთან, მოცემულ ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაციის გათვალიწინება მიმდინარეობს აგრონომიისა და სატყეო საქმის მიმართულებით ახალი პროგრამების შემუშავების ფარგლებში. პროგრამების შექმნაზე მომუშავე პერსონალი იცნობს და იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა ყურადსაღები და გასათვალიწინებელია.
3.2 კომპონენტი: ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია და საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მუდმივად განახლდეს.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია,** რადგან საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია ვებ-გვერდზე, თუმცა დაწესებულების მიერ ექსპერტებისთვის გადმოგზავნილი კატალოგი რამდენადმე განსხვავებულია ვებ გვერდზე ატვირთული კატალოგის ვერსიისგან და საჭიროებს განახლებას. საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებისთანავე შევიდეს სათანადო ცვლილოებები ვებ-გვერდზე განთავსებულ მასალებშიც
4.1 კომპონენტი: უნივერსიტეტის პერსონალის წახალისებისთვის, დაწესებულების	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წლის ბიუჯეტში პერსონალის წახალისებისთვის გამოყოფილია 25 000 ლარი.

ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი.	
4.1 კომპონენტი: გაიზარდოს დაფინანსირება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2022 წლის ბიუჯეტში პერსონალის პროფესიული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის გამოყოფილია 30 000 ლარი. ამასთან, უნივერსიტეტის განახლებულ 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარება, შემდეგი ამოცანების შესრულებით: ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში (2022 წელი), ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიებით სწავლებაში (2022 წელი), ტრენინგი ელექტრონული ჟურნალით სარგებლობისა და საქმისწარმოების „e-Dokuments“ სარგებლობის შესახებ (დაიწყო 2021-ში და გაგრძელდება 2022 წელს). მოცემული სამუშაოები აჩვენებს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა და შეასრულა რეკომენდაცია, თუმცა ეს პრაქტიკა უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს შემდგომი წლებისათვის. ამავდროულად, პერსონალის პროფესიული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის აქტივობების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული ანალიზისა და შეფასების პროცესებით (PDCA ციკლი).
5.1. კომპონენტი: უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა თვითმმართველობის ფორმირებას. სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებები, წარმომადგენლობა და საქმიანობის სფერო განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი დებულებით. სტუდენტების თვითმმართველობამ ასევე უნდა წარმოადგინოს ფაკულტეტის საბჭოებში წარმომადგენელი სტუდენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში სტუდენტთა ჩართულობას.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა ხელი შეუწყო სტუდენტებს შეექმნათ თვითმმართველობის დებულება და ეთიკის კოდექსი. თუმცა, სტუდენტთა თვითმმართველობა ჯერ შექმნილი არ არის და არც ფაკულტეტის საბჭოებში ჰყავთ წარმომადგენელი სტუდენტები. ამის მიზეზად დაწესებულების წარმომადგენლები დისტანციური სწავლების პირობებს ასახელებენ. მათი თქმით, სტუდენტებს სექტემბრიდან, აუდიტორიული სწავლების პირობებში, არჩევნების ჩატარების და ჯგუფის ჩამოყალიბების ყველანაირი შესაძლებლობა ექნებათ. მიზანშეწონილია, თვითმმართველობის არსებობის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც დაიდოს.
5.2 კომპონენტი: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობების განვითარების	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.** უნივერსიტეტი ცდილობს საერთაშორისო კუთხით სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, კერძოდ, თურქეთისა და ართვინის უნივერსიტეტებთან;

მიმართულებით, რომელიც მოიცავს სტუდენტების გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობას.	ქართველოლოგიური კვლევის კუთხით თურქეთში ექსპედიციაც მოეწყო და საერთო კვლევების ერთობლივად განხორციელება კვლავ იგეგმება, თუმცა მემორანდუმით ეს თანამშრომლობა ჯერ არაა გაფორმებული. უნივერსიტეტმა ასევე სცადა პოლონეთის კრაკოვის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა უკუკავშირი არ მიუღიათ. ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ეს ნაბიჯები არ არის საკმარისი, რადგან სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის განმახორციელებელ მთავარ უნივერსიტეტად კვლავ მხოლოდ დონის უნივერსიტეტი რჩება. ამიტომ, უნივერსიტეტის მხრიდან ისევ საჭიროა მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით, სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით.
6.1 კომპონენტი: უნივერსიტეტის გამომცემლობაში ამოქმედდეს რეცენზირების პროცესი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარე შემფასებლების მონაწილეობით.	**რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია,** რადგან დაწესებულებამ გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, რომელიც ითვალისწინებს, რომ მხარეებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ნაშრომების გარე რეცენზირების პროცესი. თუმცა, უნივერსიტეტის გამომცემლობაში მოცემულ ეტაპზე გარე რეცენზირება მიმდინარე პროცესია და შესაბამისად, გარე რეცენზირების დოკუმენტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე ვერ იქნა წარმოდგენილი. საჭიროა სრულად დაინერგოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში ნაშრომთა ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარე რეცენზირების ინიცირებული პროცესი პროცესი.
6.2 კომპონენტი: დაწესებულებამ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში განსაზღვროს სამეცნიერო აქტივობისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პილიტიკის დოკუმენტში ასახულია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები, კერძოდ: „....კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტისათვის საერთშორისო დონეზე სამეცნიერო აქტივობის სამი ძირითადი მიმართულებაა პრიორიტეტული: 1. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა; 2. უცხოელი სპეციალისტების ან/და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მკვლევრების თანამონაწილეობით ერთობლივი კვლევების განხორციელება; 3. უცხოურ ენებზე კვლევების გამოქვეყნება და ციტირების ინდექსის მაჩვენებლოს ზრდა. 4. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთ გაცვლა საგანმანათლებლო მიზნების უზრუნველსაყოფად....“

6.2 კომპონენტი: დაწესებულების სტრატეგიულ და განვითარების სამოქმედო გეგმებში განისაზღვროს ღონისძიებები და აქტივობები კვლევების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში სუსტი მხარეებისა და განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებისას შეტანილია შესაბამისი ჩანაწერები, მაგალითად: სამეცნიერო შესაძლებლობების ხელშეწყობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით; რეფერირებად ჟურნალებში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად ეს მიმართულებები ასახულია უნივერსიტეტის სამწლიან სამოქმედო გეგმაშიც, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ინტერნაციონალიზაციის განვითარება.
6.3 კომპონენტი: დადგინდეს მინიმალური სტანდარტი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობისთვის და დეტალურად გაიწეროს, დროის რა პერიოდში რა კონკრეტული მოთხოვნების შესრულებაა საჭირო სამეცნიერო აქტივობის მინიმალური სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო აქტივობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამის გარდა, ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის შესრულების-მინიმალური სტანდარტის განსაზღვრის მიზნით დაწესებულებამ სამეცნიერო პერსონალთან შეხვედრის დროს განხილვისა და დისკუსიის შედეგად გადაწყვიტა, რომ საწყის ეტაპზე პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მინიმალურ (ერთი წლის მანძილზე) მოთხოვნად განისაზღვროს ერთი კონკრეტული სამეცნიერო კვლევის შესრულება. საკვლევი თემატიკა წინასწარ განისაზღვრება და დგინდება ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ.
6.3 კომპონენტი: პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები.	**რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან დაწესებულებაში მოქმედი „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მიხედვით პერსონალის შეფასების შედეგი შეიძლება იყოს „უმაღლესი“, „მაღალი“, „კარგი“, „დაბალი“, ხოლო პერსონალი უმაღლეს შეფასებას ვერ მიიღებს თუ მას სააანგარიშო წლის განმავლობაში ციტირების ინდექსით მიღებული არ ექნება 1 ქულა. ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პერსონალის თვითშეფასების ცხრილი ითვალიწინებს, რომ პერსონალმა წარმოადგინოს „Google scholar“-ის, „Scopus“-ის და/ან „Web of science“-ს მონაცემებიდან „ციტირების ინდექსი“ და „H-ინდექსი“.
7.1 კომპონენტი: განახლდეს ინფრასტრუქტურის ფლობის	**რეკომენდაცია შესრულებულია,** კერძოდ დაწესებულებამ წარმოადგინა უძრავი ქონების ფლობის

დოკუმენტები მინიმუმ საავტორიზაციო ვადით;	დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულება, რომელიც 2021 წლის 2 დეკემბერს გაფორმდა ერთის მხრივ სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიასა, რომელსაც წარმოადგენს სხალთას ეპარქიის მმართველი მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი და მეორეს მხრივ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად ერთი მხარე მეორე მხარეს ათხოვებს ათხოვებს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებულ შენობებს. მე-5 მუხლის თანახმად ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 10 წლის ვადით.
7.1 კომპონენტი: დაემატოს და განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო აუდიტორიებში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულების წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტს გააჩნია 100 კომპიუტერი. წინა წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული კომპიუტერების შეძენა. თუმცა, 2022 წლის ბიუჯეტში იქნა გათვალისწინებული და დაწესებულება სამომავლოდ აპირებს კომპიუტერების დამატებას და განახლებას.
7.1 კომპონენტი: უნივერსიტეტის შენობები უნდა იქნეს ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისადმი;	**რეკომენდაცია შესრულებულია,** კერძოდ მოხდა ძირითადი შენობების ადაპტირება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების ადმინსტრაცია პირველ სართულზეა განთავსებული. ადმინისტრაციის ყველა ფართი, ასევე სანიტარული კვანძები ადაპტირებულია. დაწესებულების ყველა სართულისათვის გაკეთდა ასაკეცი ხის პანდუსები. ასევე დაწესებულების მიერ გამოყოფილია ერთი პერსონალი, რომელიც მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის. მტკიცებულების სახით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფოტომასალები და შესყიდვის აქტები.
7.1 კომპონენტი: მოხდეს სააუდიტორიო და საბიბლიოთეკო სივრცის სრულად დაფარვა ცენტრალური გათბობის სისტემებით;	**რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.** კერძოდ როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, აღნიშნული საკითხის მოგვარება დაწესებულებაზე არ არის დამოკიდებული. ვინაიდან, ყველა შენობაში ცენტრალური გათბობის მოწყობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების საკითხის მოგვარებაზე. დაწესებულების ხელმძღვანელობამ შუახევის მუნიციპალიტეტის მერს წერილობითი ფორმით მიმართა მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით. მუნიციპალიტეტის მერიიდან პასუხის საფუძველზე ირკვევა, რომ გაზიფიცირება დაიწყება

	2023 წელს. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გათბობის პრობლემა მათ არ აქვთ. ვინაიდან დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია საკმარისი რაოდენობის ელექტრო მინი გამათბობლები.
7.1 კომპონენტი: საერთო საცხოვრებლის სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად, საშხაპეებით უზრუნველყოფა.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** მთლიანად შენობაში არის სამი საშხაპე არის დამონტაჟებული. იყო ერთი და დაემატა ორი. 80 სტუდენტისათვის განკუთვნილი.
7.2 კომპონენტი: ბიბლიოთეკა კარგად უნდა იცნობდეს სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენებას და უნდა ატრენინგებდეს სტუდენტებსა და ფაკულტეტის წევრებს. სამეცნიერო მონაცემთა ბაზებით სარგებლობის სტატისტიკა საჭიროებს მონიტორინგს, ხოლო ხელშეწყობის აქტივობები უნდა იქნეს დაგეგმილი შესაბამისად.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** კერძოდ დაწესებულებამ ჩაატარა ტრენინგი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით. ტრენინგს ესწრებოდნენ, როგორც ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, ასევე აკადემიური პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი აპირებენ სამომავლოდ მსგავსი ტრენინგების ჩატარებას.
7.3 კომპონენტი: „საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესს და უზრუნველყოფდეს მის წარმატებულ განხორციელებას;“	**რეკომენდაცია შესრულებულია,** ვინაიდან დაწესებულებაში დაინერგა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი. სასწავლო პროცესების ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შპს პოსტ.ჯე-სთან. თანამშრომლობა ეფუძნება გაფორმებულ ხელშეკრულებას.
7.3 კომპონენტი: სტუდენტები და პერსონალი იყენებდეს საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტას;	**რეკომენდაცია შესრულებულია,** დაწებულების წარმომადგენლებმა გვიჩვენეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის შექმნილი საუნივერსიტეტო ელეტრონული ფოსტა, რომელიც მიბმულია ელექტრონული ჟურნალთან.
7.3 კომპონენტი: IT რისკების მენეჯმენტი უნდა იყოს ეფექტიანი, მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილი, ხოლოსაინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა უნდა ფასდებოდეს.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებაში მოქმედებს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს IT რისკების მენეჯმენტს ინფორმაციული ტექნოლოგიებზე კონტროლის საშუალებით. აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას ფიზიკური, ტექნიკური, პროცედურული და გარემოს უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებით. რაც გამომდინარეობს საფრთხეების გამოვლენასა და შესწავლაში. IT რისკების ეფექტიანობასა და მონაცემთა დაცვას ემსახურება ასევე „e-Dokuments“-ის დაარქივების მექანიზმი, რომელიც ინახავს კორესპონდენციას და საძიებო სისტემის მეშვეობით ძველი კორესპონდენციების მოძიების შესაძლებლობასაც იძლევა
7.3 კომპონენტი: სწავლის საინფორმაციო და სწავლის	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებაში დაინერგა სწავლის პროცესების მართვის სისტემა. ამ

მენეჯმენტის სისტემა უნდა იქნეს დანერგილი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებების ხარისხი.	სისტემის დანერგვას ემსახურება შპს პოსტ.ჯე, რომელთანაც დაწესებულება თანამშრომლობს.
7.3 კომპონენტი: მოხდეს ვებ გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის განახლება	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** დაწესებულებას გააჩნია ვებ-გვერდი, რომელშიც მოცემულია დაწესებულების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულების ვებ გვერდი ფორმალურად არის ორ ენოვანი. ძირითადი სახელწოდებები ინგლისურ ენაზე არის გადათარგმნილი. თუმცა თითოეული გვერდი ცარიელია, მხოლოდ ატვირთულია კონკრეტული ფაილი და არ მოიცავს მოკლე აღწერას ინგლისურ ენაზე.
7.4 კომპონენტი: ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს მიმდინარე კვლევითი აქტივობების შესაბამისად, პრიორიტეტი მიენიჭოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების პროგრამებს.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ დაწესებულების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქო. 2022 წლის ბიუჯეტის მიხედვით, დაწესებულებას წახალისების მიზნით გამოყოფილი აქვს 25 000 ლარი, ხოლო პროფესიული და სამეცნიერო განვითარების მიზნით - 30 000 ლარი
7.4 კომპონენტი: სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ზოგჯერ უნდა ჩატარდეს ფინანსური აუდიტი და მისი ანგარიში გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე	**რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.** როგორც დაწესებულების წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, დაწესებულება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საპატრიარქოს საფინანსო განყოფილებას, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ამ მიმართულებით. დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი ფინანსური აუდიტის დასკვნები ანალიზისათვის. ასევე აუდიტის ანგარიში არ არის გამოქვეყნებული დაწესებულების ვებ-გვერდზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

2.1 კომპონენტი

- რეკომენდებულია ვებ-გვერდზე განახლდეს უნივერსიტეტის დებულება და სტრუქტურა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

2.2 კომპონენტი

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პრაქტიკაში მდგრადად დანერგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შიდა მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს ანალიზზე დაფუძნებული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღებას.

3.2 კომპონენტი

- საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებისთანავე შევიდეს სათანადო ცვლილოებები ვებ-გვერდზე განთავსებულ მასალებშიც

4.1 კომპონენტი

- უნივერსიტეტის განვითარების სამწლიან (2022-2024) სამოქმედო გეგმაში პერსონალის განვითარებისათვის განსაზღვრული ამოცანები და ღონისძიებები გაიწეროს სამწლიან პერიოდზე გათვლით, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული მონიტორინგის, ანალიზისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით.

5.1 კომპონენტი

- უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტებს თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებაში და ამ ინსტიტუციის სრულფასოვნად ჩამოყალიბებაში. ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე თვითმმართველობისთვის შესაბამისი სივრცე უნდა გამოიყოს.

5.2 კომპონენტი

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა განავითაროს საერთაშორისო პარტნიორობის შესაძლებლობები სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით.

6.1 კომპონენტი

- სრულად დაინერგოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში ნაშრომთა ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარე რეცენზირების ინიცირებული პროცესი.

7.1 კომპონენტი

- რეკომენდებულია სააუდიტორიო და საბიბლიოთეკო სივრცის სრულად დაფარვა ცენტრალური გათბობის სისტემებით;
- რეკომენდებულია დაემატოს და განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო აუდიტორიებში.

7.2 კომპონენტი

- რეკომენდებულია დაწესებულების ვებგვერდის სიახლეების და ასევე მნიშვნელოვანი განყოფილების უზრუნველყოფა ინგლისური ენაზე.

7.4 კომპონენტი

- რეკომენდებულია ფინანსური მონიტორინგის ანგარიში გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რჩევები

2.1 კომპონენტი

- უნივერსიტეტმა დანერგოს კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სერვისი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა

-

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელი, გვარი (თავმჯდომარე) დავით სიხარულიძე

სახელი, გვარი: ია ნაცვლიშვილი

სახელი, გვარი: ციცინო თურქაძე

სახელი, გვარი: ანა მჭედლიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **რეკომენდაცია 1: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მმართველი საბჭოების წევრებით დაკომპლექტება განხორციელდეს არჩევის წესით.** **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** უნივერსიტეტი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მასზე არ ვრცელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის IV, V (გარდა 32-ე–35-ე მუხლებისა) და XIV თავებით გათვალისწინებული ნორმები. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი. უნივერსიტეტის დებულებით, აკადემიური საბჭოს წევრები ინიშნებიან ოთხი წლის ვადით, წევრის დანიშვნა შეიძლება ზედიზედ ორჯერ. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი და აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლეგიალურად, აზრთა ურთიერთგაზიარების გზით. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა, პირველი ეტაპის სამუშაოების რანგში, შეიმუშავა საკვალიფიკაციო მოთხოვნები საბჭოს წევრობის კანდიდატების მიმართ. აკადემიური საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე, ინიშნება შიდა კონსულტაციების გზით, სასწავლო და სამეცნიერო პროცესში აქტიურად ჩართულობის, კადრის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და ზოგადი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. **რეკომენდაცია 2: უნივერსიტეტმა მართვაში უნდა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტაციის ელექტრონული წარმოების სისტემა.** **რეკომენდაცია შესრულებულია.** 2021 წლის დეკემბრიდან უნივერსიტეტმა გააქტიურა სამუშაოები საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში „e-document“ ჩართვისა და გამოყენების მხრივ. შედეგად, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას საქმისწარმოებისათვის. უნივერსიტეტმა ასევე დანერგა ელექტრონული სერვისი სასწავლო პროცესის მართვაში. 2022 წლის 21 იანვარს გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ,,პოსტი.ჯი''-სთან, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი სარგებლობს სასწავლო პროცესის მართვის ე.წ. „ელეტრონული ჟურნალის“ სისტემით. ელექტრონული ჟურნალი მოქმედია, პილოტირების პროცესშია და მას იყენებენ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ფაკულტეტის დეკანების ელექტრონული ფოსტების შესახებ, სადაც სამი საგანმანათლებლო ერთეულისათვის ფიქსირდება mail.ru-ს ფოსტა.

რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სერვისი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის, რომლის გამოყენება ხელს შეუწყობს შიდა და გარე კომუნიკაციას, ასევე ინტერნაციონალიზაციის პროცესებს.

რეკომენდაცია 3: უნივერსიტეტმა უნდა დააარსოს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.

რეკომენდაცია შესრულებულია. 2021 წლის ოქტომბერში, ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შეფასებით, ეს რეკომენდაცია შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესრულებული. უნივერსიტეტს იმ ეტაპზე ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ცალკე სტრუქტურულ ერთეულად არ ჰქონდა განსაზღვრული, თუმცა ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციები აისახა მარეგულირებელ დოკუმენტში, ადმინისტრაციის შემადგენლობა გაიზარდა „ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის“ სახით.

უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის №01-03/29 ბრძანებით დამტკიცდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება, ხოლო 2021 წლის 21 დეკემბრის ბრძანებით #01-03/33 ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტის დებულებაში, რომლის მიხედვით (მუხლი 3. უნივერსიტეტის სტრუქტურა) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2022 წლის 23 თებერვლის #01-05/02 ბრძანებით დაინიშნა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო 2022 წლის 30 მარტის #01-05/05 ბრძანებით დაინიშნა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდისათვის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის დებულება, რომელშიც სტრუქტურულ ერთეულად არ ჩანდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ასევე ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის სტრუქტურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/21 ბრძანებით), სადაც ასევე არ ფიგურირებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

ინტერვიუირების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დებულება და სტრუქტურა განახლებულია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მხოლოდ განახლებული დებულების ელექტრონული ვერსია.

შესაბამისად, რეკომენდებულია ვებ-გვერდზე განახლდეს უნივერსიტეტის დებულება და სტრუქტურა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (ცვლილებებით 2021 წლის 21 დეკემბრის ბრძანებით #01-03/33)
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმა, განახლებული ვარიანტი, (2022-2024 წლები).
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- ელეტრონული ჟურნალისა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება
- ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის დანიშვნის შესახებ 2022 წლის 23 თებერვლის #01-05/02 ბრძანება

- ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტის დანიშვნის შესახებ 2022 წლის 30 მარტის #01-05/05 ბრძანება
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- უნივერსიტეტის სტრუქტურა (დამტკიცებული 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-03/21 ბრძანებით)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიულ სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ვებ-გვერდზე განახლდეს უნივერსიტეტის დებულება და სტრუქტურა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

რჩევები:

- უნივერსიტეტმა დანერგოს კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სერვისი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია 4: უნივერსიტეტმა დანერგოს საინფორმაციო რესურსები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანად განსახორციელებლად.

რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

1. სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავება და მონიტორინგი სრულდება ელექტრონული პროგრამების გამოყენებით;
2. სტუდენტების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებისათვის შედგენილია და გამოიყენება გუგლის პლატფორმის ელექტრონული კითხვარები.

ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვითი სამუშაოები. შედეგად, უნივერსიტეტმა დაიწყო ე.წ. ელექტრონული ჟურნალის გამოყენება, სადაც თავს იყრის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოცულობითი ინფორმაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მზადაა შეასრულოს ამ ინფორმაციის ანალიზი და გამოიყენოს ის შეფასების პროცესისათვის.

მოცემული სამუშაოები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა გადადგა ქმედითი ნაბიჯები ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამუშაოებში საინფორმაციო რესურსების შესაძლებლობების გამოყენების მხრივ.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში მნიშვნელოვანია სრულად იქნას გამოყენებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი, რომელიც დაწესებულებას გაწერილი აქვს მარეგულირებელი დოკუმენტით: უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი (28.12.2018). წესის მიხედვით, მონიტორინგის სამუშაოებს ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით უნდა შეაფასოს გეგმების შესრულება.

აღნიშნული მონიტორინგის მოქმედი წესის მიხედვით, „მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშში უნდა აისახოს ცალკეული საკითხის ანალიზი და რეკომენდაციები. აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.“ და „სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტაციებზე დაყრდნობით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე“.

ინტერვიუერების დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი, თუ რა შიდა სამუშაოები შესრულდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ და როგორ უკავშირდებოდა ეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებას.

შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესების სწორად წარმართვა და ამ პროცესში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება არის უნივერსიტეტის გამოწვევა.

რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პრაქტიკაში მდგრადად დანერგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შიდა მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს ანალიზზე დაფუძნებული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმა, განახლებული ვარიანტი, (2022-2024 წლები).
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობები და დანერგილი პრაქტიკა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პრაქტიკაში მდგრადად დანერგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შიდა მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს ანალიზზე დაფუძნებული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მიღებას.

რჩევები:

-

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცეში (2019) მოცემული სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ამ კომპონენტში ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები მოიცავდა პლაგიარიზმთან და მის შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირების გაზრდისა და პლაგიარიზმის პროცედურების მკაცრი კონტროლირების ვალდებულებებს, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მხრივ. .2021 წლის ავტორიზაციის მონიტორინგის შეფასებით დაწესებულებამ სრულად შეასრულა რეკომენდაციები, უნივერსიტეტმა დაგეგმა და განახორციელა სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე შესაბამისიპროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, სტუდენტები იცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და უნივერსიტეტის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესში პლაგიატის პრევენციასა და შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას ემსახურება აკადემიური წერის სასწავლო კურსი და კვლევითი კომპონენტის შესრულების მოთხოვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი • უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი • უნივერსიტეტის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, მათ შორის ბიბლიოთეკისა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობები და დანერგილი პრაქტიკა.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
რეკომენდაცია 5: დასრულდეს ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მიხედვით პროგრამების მოდიფიცირების და შესაბამის კვალიფიკაციებზე გადაყვანის პროცესი. **რეკომენდაცია შესრულებულია,** რადგან საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები წარმოდგენილია ახალი კვალფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია წარმოდგენილია ახალი კლასიფიკატორის მიხედვით, ხოლო სწავლის შედეგები განსაზღვრულია ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით სამ ჯგუფად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ტბელის უნივერსიტეტში“ მილევად რეჟიმში მოქმედებს აგრარული მიმართულების ორი - საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამ პროგრამების კვალიფიკაცია (შესაბამისად შედეგებიც) წარმოდგენილია კვალიფიკაციის ძველი ჩარჩოს შესაბამისად. აგრარული

მიმართულების კვალიფიკაციათა ახალი ეროვნული ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოსაყვანად მოცემულ ეტაპზე „ტბელის უნივერსიტეტში“ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ახალი პროგრამების შემუშავების პროცესი.

რეკომენდაცია 6: დაწესებულებაში მოქმედი დამატებითი სპეციალობის პროგრამებისთვის (ე.წ. მაინორ პროგრამების) განისაზღვროს ცალკე დამოუკიდებელი სტრუქტურა, მიზანი, შედეგი, სასწავლო კურსები.

რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან დაწესებულების დამატებითი სპეციალობის პროგრამებისთვის (ე.წ. მაინორ პროგრამების) ცალკე განსაზღვრულია პროგრამის დამოუკიდებელი სტრუქტურა, მიზანი, შედეგი, სასწავლო კურსები. შესაბამისი აღწერილობა შესულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. დაწესებულების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში ასახულია დამატებითი პროგრამის სტრუქტურის შემდეგი მოთხოვნები: განათლების საფეხური, პროგრამის მოცულობა, სწავლების ენა, დამატებითი პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები, სწავლის შედეგები, სწავლის შეფასების სისტემა და სასწავლო გეგმა.

რეკომენდაცია 7: პროგრამების მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნები, სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები.

რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან ტბელის უნივერსიტეტის „პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“ აისახა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობა პროგრამების მოდიფიცირებისას. მაგალითად, აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 4, პუნქტი 6-ის თანახმად „...პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს: დასაქმების ბაზრის კვლევას, კურსდამთავრებულთა მზაობის კვლევას, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს (მატერიალურ–ტექნიკური და ადამიანური რესურსები)...“ ამასთან, ამავე დოკუმენტის მუხლი 5, პუნქტი 4 -ის თანახმად: „პროგამის მოდიფიცირებისას გათვალიწინებული უნდა იყოს: 4.1. შრომის ბაზრის მოთხოვნები, მაგალითად: დამსაქმებლებისა თუ პოტენციური დამსაქმებლების აზრი, შრომის ბაზრის კვლევები და სხვა მსგავსი დოკუმენტები ...ასევე შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის გამოცდილებები...“

ამასთან, დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს პროგრამების მოდიფიცირებაზე მომუშავე პირების მიერ აღინიშნა, რომ პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირებისას ხდება დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან, ასევე, კურსდამთავრებულებთან მჭიდრო პირადი კონტაქტებისა და ინტერვიუების შედეგად მათი საჭიროებების დადგენა და პროგრამებში ამ საჭიროებების შეძლებისდაგვარად ასახვა.

რეკომენდაცია 8: მოხდეს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირების დროს.

რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან ტბელის უნივერსიტეტის „პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“ მუხლი 5, პუნქტი 4 -ის თანახმად ასახულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/მოდიფიცირების დროს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობა: „პროგამის მოდიფიცირებისას გათვალიწინებული უნდა

იყოს: 4.1. შრომის ბაზრის მოთხოვნები... ასევე, შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის გამოცდილებები...“

დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძრვანელებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს პროგრამების მოდიფიცირებაზე მომუშავე პირების მიერ აღინიშნა, მოცემულ ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაციის გათვალიწინება მიმდინარეობს აგრონომიისა და სატყეო საქმის მ ი მ ა რ თულებით ახალი პროგრამების შემუშავების ფარგლებში. პროგრამების შექმნაზე მომუშავე პერსონალი იცნობს და იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა ყურადსაღები და გასათვალიწინებელია.

რეკომენდაცია 9: ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია და საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მუდმივად განახლდეს.

რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია ვებ-გვერდზე, თუმცა დაწესებულების მიერ ექსპერტებისთვის გადმოგზავნილი კატალოგი რამდენადმე განსხვავებულია ვებ გვერდზე ატვირთული კატალოგის ვერსიისგან და საჭიროებს განახლებას (იხ.

https://tbeli.ge/files/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%2022.pdf

ვებ-გვერდის მონახულების თარიღი: 07/06/2022)

გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია თავად პროგრამების სრული ვერსიები, თუმცა დაწესებულების მიერ ექსპერტებისთვის გადმოგზავნილი საგანმანათლებლო პროგრამების სრული ვერსიები ცალკეულ შემთხვევებში რამდენადმე განსხვავებულია ვებ გვერდზე ატვირთული.

საგანმანთლებლო პროგრამების სრული ვერსიებისგან და საჭიროებს განახლებას. მაგალითად, ვებ-ვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის 2019 წლის ვერსია და არა უახლესი 2022 წლის ვერსია (იხ.

http://tbeli.ge/files/b%20programebi/B.%20SAJARO%20mmartveloba%20_%20programa.pdf

ვებ-გვერდის მონახულების თარიღი: 07/06/2022)

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი;
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.tbeli.ge/ ;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები: • საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებისთანავე შევიდეს სათანადო ცვლილოებები ვებ-გვერდზე განთავსებულ მასალებშიც
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
რეკომენდაცია 10: უნივერსიტეტის პერსონალის წახალისებისთვის, დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი. **რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში პერსონალის წახალისებისთვის გამოყოფილია 25 000 ლარი. უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით (მიღებულია 09.12.2021), წახალისების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი ინიციატივით. შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ წახალისების ფორმებია: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფულადი ჯილდო (პრემია); გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი ან პროფესიული გადამზადების კურსებით დაჯილდოება. (მუხლი 17, უნივერსიტეტის შინაგანაწესი). ინტერვიუირებისას ადმინისტრაციისა და სხვა სამსახურის (სამეცნიერო პერსონალი, იურიდიული სამსახური, ფაკულტეტის დეკანები) წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, რაც უკეთესია, რადგან გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიალურად. რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (არმს), იგი ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და სამსახურის დებულების მიხედვით, არმს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ერთეულების, ფუნქციების, პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მიხედვით, პერსონალის შეფასების შედეგების შედეგად, გარდა „უნივერსიტეტის“ შინაგანაწესით არსებული წახალისების მექანიზმისა შესაძლებელია, საუკეთესო შედეგებით შეფასებული კანდიდატის მიმართ გამოყენებულ იქნას წახალისების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: სერტიფიკატის გადაცემა, ფულადი წახალისება, ნაშრომის გამოქვეყნება, კონფერენციებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობა და სხვა (მუხლი 13). უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შეფასების წესის მიხედვით ჯერ უნივერსიტეტს პერსონალის შეფასება არ ჩაუტარებია. ეს შეფასება განხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს და როგორც ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუირებით გაირკვა, ამ პროცესს უნივერსიტეტი წარმართავს პილოტირების რეჟიმში, რომლის დროსაც დააკვირდება შეფასების პროცედურების მოქნილობასა და ეფექტურობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ შეფასების წესმა განიცადოს ცვლილებები და გაუმჯობესდეს პილოტირების რეჟიმში გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.
რეკომენდაცია 11: გაიზარდოს დაფინანსირება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. **რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში პერსონალის პროფესიული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის გამოყოფილია 30 000 ლარი.

ამასთან, უნივერსიტეტის განახლებულ 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარება, შემდეგი ამოცანების შესრულებით: ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში (2022 წელი), ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიებით სწავლებაში (2022 წელი), ტრენინგი ელექტრონული ჟურნალით სარგებლობისა და საქმისწარმოების „e-Dokuments" სარგებლობის შესახებ (დაიწყო 2021-ში და გაგრძელდება 2022 წელს).

მოცემული სამუშაოები აჩვენებს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა და შეასრულა რეკომენდაცია, თუმცა ეს პრაქტიკა უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს შემდგომი წლებისათვის. ამავდროულად, პერსონალის პროფესიული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის აქტივობების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული ანალიზისა და შეფასების პროცესებით (PDCA ციკლი).

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა უნივერსიტეტის განვითარების სამწლიან (2022-2024) სამოქმედო გეგმაში გადაიხედოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისათვის განსაზღვრული ამოცანები და ღონისძიებები, რომელიც გაწერილია მხოლოდ 2022 წლისათვის. ეს აქტივობები გაიწეროს სამწლიან პერიოდზე გათვლით, რისთვისაც აქტივობების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული ანალიზისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების სამწლიანი სამოქმედო გეგმა, განახლებული ვარიანტი, (2022-2024 წლები).
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი
- „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი"
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის განვითარების სამწლიან (2022-2024) სამოქმედო გეგმაში პერსონალის განვითარებისათვის განსაზღვრული ამოცანები და ღონისძიებები გაიწეროს სამწლიან პერიოდზე გათვლით, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული მონიტორინგის, ანალიზისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით.

რჩევები:

-

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული აქვს დასაქმების ხელშეკრულებები, რაც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცეში (2019) მოცემული სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ამ კომპონენტში ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები მოიცავდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის დაწესდეს საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის მიზნობრივი ნიშნულების დაწესებისა და მათი გაუმჯობესების ვალდებულებას.

2021 წლის ავტორიზაციის მონიტორინგის შეფასებით დაწესებულებამ სრულად შეასრულა რეკომენდაცია და დააწესა სამიზნე ნიშნულები პერსონალის საქმიანობის სახეების მიხედვით, კერძოდ, „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესში" კონკრეტული პერსონალის შეფასების სამიზნე ნიშნულად აღებულ იქნა შეფასების მომდევნო მაღალი საფეხური. სამეცნიერო აქტივობებისა და მინიჭებული ქულების საფუძველზე პერსონალის საბოლოო შეფასება განისაზღვრება „უმაღლესი", „მაღალი", „კარგი" და „დაბალი" შეფასებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი"
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

რეკომენდაცია 12: უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა თვითმმართველობის ფორმირებას. სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებები, წარმომადგენლობა და საქმიანობის სფერო განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი დებულებით. სტუდენტების თვითმმართველობამ ასევე უნდა წარმოადგინოს ფაკულტეტის საბჭოებში წარმომადგენელი სტუდენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში სტუდენტთა ჩართულობას.

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო სტუდენტ ლიდერთა ჯგუფს შეექმნათ თვითმმართველობის დებულება და ეთიკის კოდექსი. თუმცა, ამ დოკუმენტებს უნივერსიტეტი პრაქტიკაში ჯერ ვერ იყენებს, რადგან თვითმმართველობის არჩევნები არ ჩატარებულა და შესაბამისად, სტუდენტთა თვითმმართველობა შექმნილი არ არის. არც ფაკულტეტის საბჭოებში ჰყავთ წარმომადგენელი სტუდენტები. ამის მიზეზად დაწესებულების წარმომადგენლები დისტანციური სწავლების პირობებს ასახელებენ და ამბობენ, რომ სტუდენტებს სექტემბრიდან, აუდიტორული სწავლების პირობებში, არჩევნების ჩატარების და შესაბამისი ჯგუფის შექმნის ყველანაირი შესაძლებლობა ექნებათ. მიზანშეწონილია, თვითმმართველობის არსებობის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც დაიდოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება
- სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტებს თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებაში და ამ ინსტიტუციის სრულფასოვნად ჩამოყალიბებაში. ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე თვითმმართველობისთვის შესაბამისი სივრცე უნდა გამოიყოს.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

რეკომენდაცია 13: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობების განვითარების მიმართულებით, რომელიც მოიცავს სტუდენტების გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობას.

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტი ცდილობს საერთაშორისო კუთხით სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, კერძოდ, თურქეთისა და ართვინის უნივერსიტეტებთან ქართველოლოგიური კვლევის კუთხით თურქეთში ექსპედიციაც მოეწყო და საერთო კვლევების ერთობლივად განხორციელება კვლავ იგეგმება, თუმცა მემორანდუმით ეს თანამშრომლობა ჯერ არაა გაფორმებული.

უნივერსიტეტმა ასევე სცადა პოლონეთის კრაკოვის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა უკუკავშირი არ მიუღიათ. უმჯობესია, პირდაპირი კონტაქტის დამყარების მცდელობის მაგივრად, მსგავს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისას ადგილობრივი ინსტიტუციების ჩართვა და ამ ფორმით კავშირების ძიება. დონის როსტოვის უნივერსიტეტი საზაფხულო სკოლაშიც იწვევს, როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს, თუმცა ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ეს ნაბიჯები არ არის საკმარისი, რადგან სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის განმახორციელებელ მთავარ უნივერსიტეტად კვლავ მხოლოდ დონის უნივერსიტეტი რჩება. ამიტომ, უნივერსიტეტის მხრიდან კვლავ საჭიროა მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით, სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ავტორიზაციის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი
- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა განავითაროს საერთაშორისო პარტნიორობის შესაძლებლობები სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია 14. უნივერსიტეტის გამომცემლობაში ამოქმედდეს რეცენზირების პროცესი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარე შემფასებლების მონაწილეობით.

რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია, რადგან დაწესებულებამ 2022 წლის მარტში გააფორმა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან და გათვალისწინებულია, რომ მხარეებმა ხელი შეუწყონ ურთიერთობების განმტკიცებას და თანამშრომლობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში და უზრუნველყონ სამეცნიერო ნაშრომების გარე რეცენზირების პროცესი. თუმცა, ტბელის უნივერსიტეტის გამომცემლობაში მოცემულ ეტაპზე გარე რეცენზირება მიმდინარე პროცესია და შესაბამისად, გარე რეცენზირების დოკუმენტი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე ვერ იქნა წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მემორანდუმი აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან;
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი;
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.tbeli.ge/ ;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- სრულად დაინერგოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში ნაშრომთა ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარე რეცენზირების ინიცირებული პროცესი პროცესი.

რჩევები:

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია 15. დაწესებულებამ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში განსაზღვროს სამეცნიერო აქტივობისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები.

რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პილიტიკის დოკუმენტში ასახულია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები, კერძოდ: „....კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტისათვის საერთშორისო დონეზე სამეცნიერო აქტივობის სამი ძირითადი მიმართულებაა პრიორიტეტული: 1. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა; 2. უცხოელი სპეციალისტების ან/და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მკვლევრების თანამონაწილეობით ერთობლივი კვლევების განხორციელება; 3. უცხოურ ენებზე კვლევების გამოქვეყნება და ციტირების ინდექსის მაჩვენებლოს ზრდა. 4. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთ გაცვლა საგანმანათლებლო მიზნების უზრუნველსაყოფად....“

რეკომენდაცია 16. დაწესებულების სტრატეგიულ და განვითარების სამოქმედო გეგმებში განისაზღვროს ღონისძიებები და აქტივობები კვლევების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით.

რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან დაწესებულებას სამეცნიერო კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხი მიაჩნია ერთ-ერთ გამოწვევად და აქედან გამომდინარე, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში სუსტი მხარეებისა და განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებისას შეტანილია შესაბამისი ჩანაწერები, მაგალითად: სამეცნიერო შესაძლებლობების ხელშეწყობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით; რეფერირებად ჟურნალებში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად ეს მიმართულებები ასახულია უნივერსიტეტის სამწლიან სამოქმედო გეგმაში, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ინტერნაციონალიზაციის განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- დაწესებულების სტრატეგიული გეგმა;
- დაწესებულების სამწლიანი სამოქმედო გეგმა;
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი;
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი;
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.tbeli.ge/ ;

- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია 17. დადგინდეს მინიმალური სტანდარტი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობისთვის და დეტალურად გაიწეროს, დროის რა პერიოდში რა კონკრეტული მოთხოვნების შესრულებაა საჭირო სამეცნიერო აქტივობის მინიმალური სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რადგან დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო აქტივობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამის გარდა, ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის შესრულების-მინიმალური სტანდარტის განსაზღვრის მიზნით დაწესებულებამ სამეცნიერო პერსონალთან შეხვედრის დროს განხილვისა და დისკუსიის შედეგად გადაწყვიტა, რომ საწყის ეტაპზე პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მინიმალურ (ერთი წლის მანძილზე) მოთხოვნად განისაზღვროს ერთი კონკრეტული სამეცნიერო კვლევის შესრულება. საკვლევი თემატიკა წინასწარ განისაზღვრება და დგინდება ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

რეკომენდაცია 18. პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია, რადგან დაწესებულებაში მოქმედი „აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მიხედვით პერსონალის შეფასების შედეგი შეიძლება იყოს „უმაღლესი“, „მაღალი“, „კარგი“, „დაბალი“, ხოლო პერსონალი უმაღლეს შეფასებას ვერ მიიღებს თუ მას სააანგარიშო წლის განმავლობაში ციტირების ინდექსით მიღებული არ ექნება 1 ქულა. ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პერსონალის თვითშეფასების ცხრილი ითვალიწინებს, რომ პერსონალმა წარმოადგინოს „Google scholar“-ის, „Scopus“-ის და/ან „Web of science“-ს მონაცემებიდან „ციტირების ინდექსი“ და „H-ინდექსი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ქართველოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის წევრთა კრების ოქმი; • აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის დასკვნა, 2021 წელი; • უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, 2022 წელი; • დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.tbeli.ge/ ; • ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
რეკომენდაცია 19: განახლდეს ინფრასტრუქტურის ფლობის დოკუმენტები მინიმუმ საავტორიზაციო ვადით; **რეკომენდაცია გათვალისწინებულია,** კერძოდ დაწესებულებამ წარმოადგინა უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულება, რომელიც 2021 წლის 2 დეკემბერს გაფორმდა ერთის მხრივ სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიას, რომელსაც წარმოადგენს სხალთას ეპარქიის მმართველი მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი და მეორეს მხრივ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს შორის. ამ

ხელშეკრულების თანახმად ერთი მხარე მეორე მხარეს ათხოვებს ათხოვებს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებულ შენობებს. მე-5 მუხლის თანახმად ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 10 წლის ვადით.

რეკომენდაცია 20: დაემატოს და განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო აუდიტორიებში.

რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტს გააჩნია 100 კომპიუტერი. წინა წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული კომპიუტერების შეძენა. თუმცა 2022 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული და დაწესებულება სამომავლოდ აპირებს კომპიუტერების დამატებას და განახლებას.

რეკომენდაცია 21: უნივერსიტეტის შენობები უნდა იქნეს ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისადმი;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. კერძოდ სრულიად მოხდა შენობების ადაპტირება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია პირველ სართულზეა განთავსებული. ადმინისტრაციის ყველა ფართი, ასევე სანიტარული კვანძები ადაპტირებულია. დაწესებულების ყველა სართულისათვის გაკეთდა ასაკეცი ხის პანდუსები. ასევე დაწესებულების მიერ გამოყოფილია ერთი პერსონალი, რომელიც მოემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის. მტკიცებულების სახით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფოტომასალები და შესყიდვის აქტები.

რეკომენდაცია 22: მოხდეს სააუდიტორიო და საბიბლიოთეკო სივრცის სრულად დაფარვა ცენტრალური გათბობის სისტემებით;

რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული. კერძოდ როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, აღნიშნული საკითხის მოგვარება დაწესებულებაზე არ არის დამოკიდებული. ვინაიდან, ყველა შენობაში ცენტრალური გათბობის მოწყობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების საკითხის მოგვარებაზე. დაწესებულების ხელმძღვანელობამ შუახევის მუნიციპალიტეტის მერს წერილობითი ფორმით მიმართა მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით. მუნიციპალიტეტის მერიიდან პასუხის საფუძველზე ირკვევა, რომ გაზიფიცირება დაიწყება 2023 წელს. ალტერნატიული საშუალება არის ელექტრო ენერგიაზე მომუშავე ცენტრალური გათბობის მოწყობა, რომელიც დაწესებულებას ძალზე ძვირი უჯდება. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გათბობის პრობლემა მათ არ აქვთ. ვინაიდან დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია საკმარისი რაოდენობის ელექტრო მინი გამათბობლები. ამ გამათბობლების საშუალებით ხდება, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო ფართების გათბობა. ონლაინ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა გვიჩვენეს მინი ელექტრო გამათბობელები.

რეკომენდაცია 22: საერთო საცხოვრებლის სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად, საშხაპეებით უზრუნველყოფა.

რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულების წარმომადგენელმა ონლაინ ვიზიტის დროს ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას გვიჩვენა დამატებული გარემონტებული საშხაპეები. გასაუბრებიდან ირკვევა, მთლიანად შენობაში არის სამი საშხაპე, იყო მხოლოდ ერთი. სამი საშხაპე განკუთვნილია 80 სტუდენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფრასტრუქტურის ონლაინ დათვალიერება.
- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება)
- წერილი გაზიფიცირებისა და ცენტრალური გათბობის შესახებ.

- შესყიდვის აქტები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სააუდიტორიო და საბიბლიოთეკო სივრცის სრულად დაფარვა ცენტრალური გათბობის სისტემებით;
- დაემატოს და განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო აუდიტორიებში.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

რეკომენდაცია 23: „ბიბლიოთეკა კარგად უნდა იცნობდეს სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენებას და უნდა ატრენინგებდეს სტუდენტებსა და ფაკულტეტის წევრებს. სამეცნიერო მონაცემთა ბაზებით სარგებლობის სტატისტიკა საჭიროებს მონიტორინგს, ხოლო ხელშეწყობის აქტივობები უნდა იქნეს დაგეგმილი შესაბამისად.“

რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ დაწესებულებამ ჩაატარა ტრენინგი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით. ტრენინგს ესწრებოდნენ, როგორც ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, ასევე აკადემიური პერსონალი. აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა 2021 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი აპირებენ სამომავლოდ მსგავსი ტრენინგების ჩატარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ ვებ-გვერდი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რეკომენდაცია 24: საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესს და უზრუნველყოფდეს მის წარმატებულ განხორციელებას.

რეკომენდაცია შესრულებულია, ვინაიდან დაწესებულებაში დაინერგა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ჟურნალი. კერძოდ დაწესებულებამ შეიძინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ ფინანსური ანალიტიკური სამსახურის მომსახურება, რაც ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემის დანერგვას. სასწავლო პროცესების ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს შპს პოსტ.ჯე-სთან. თანამშრომლობა ეფუძნება გაფორმებულ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებამ შეიძინა და დანერგა სასწავლო პროცესების მართვის სისტემა. ჟურნალში ფიქსირდება 974 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 94 პროფესორ მასწავლებელი. ყველა აღნიშნულ სტუდენტზე 2022 წლის 04 აპრილის მდგომარეობით ელექტრონულ ჟურნალში განთავსებულია თავიანთი სასწავლო ბარათები ყველა სტუდენტს და პროფესორ მასწავლებელს თავიანთი გვერდი ე,წ, მომხმარებელი აქვს. ინფრასტრუქტურის ონლაინ დათვალიერებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა გვიჩვენეს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციები, როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან ასევე სტუდენტების მხრიდან. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ამ სისტემის დანერგვამ გააუმჯობესა სასწავლო პროცესების მართვის ეფექტიანობა.

რეკომენდაცია 25: სტუდენტები და პერსონალი იყენებდეს საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტას;

რეკომენდაცია გათვალისწინებულია: დაწებულების წარმომადგენლებმა გვიჩვენეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის შექმნილი საუნივერსიტო ელექტრონული ფოსტის მისამართები, რომელიც მიბმულია ელექტრონულ ჟურნალთან.

რეკომენდაცია 26: IT რისკების მენეჯმენტი უნდა იყოს ეფექტიანი, მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილი, ხოლოსაინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა უნდა ფასდებოდეს.

რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებაში მოქმედებს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს IT რისკების მენეჯმენტს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიებზე კონტროლის საშუალებით. აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას ფიზიკური, ტექნიკური, პროცედურული და გარემოს უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებით. რაც გამომდინარეობს საფრთხეების გამოვლენასა და შესწავლაში. მონაცემთა დაკარგვის პრევენციის მიზნით ხდება ინფორმაციის დაარქივება და ინფორმაციის შენახვა ფიზიკურ მატარებლებზე ნაბეჭდი სახით, რაც უნივერსიტეტის კანცელარიაში იყრის თავს.

IT რისკების ეფექტიანობასა და მონაცემთა დაცვას ემსახურება ასევე „e-Dokuments“-ის დაარქივების მექანიზმი, რომელიც ინახავს კორესპონდენციას და საძიებო სისტემის მეშვეობით ძველი კორესპონდენციების მოძიების შესაძლებლობასაც იძლევა.

რეკომენდაცია 27: სწავლის საინფორმაციო და სწავლის მენეჯმენტის სისტემა უნდა იქნეს დანერგილი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურეობების ხარისხი.

რეკომენდაცია შესრულებულია. ვინაიდან დაწესებულებაში დაინერგა სწავლის პროცესების მართვის სისტემა. ამ სიტემის დანერგვას ემსახურება შპს პოსტ.ჯე, რომელთანაც დაწესებულება თანამშრომლობს. თანამშრომლობის საფუძველი არის გაფორმებული ხელშეკრულება. ვიზიტის ფარგლებში ონლაინ დათვალიერებისას დაწესებულების წარმომადგენელმა გვიჩვენა აღნიშნული სისტემა და მისი ფუნქციონირების დეტალები. დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი აღნიშნავდნენ ამ სისტემის დანერგვის შედეგად მიღებულ ეფექტიანობაზე.

რეკომენდაცია 28: მოხდეს ვებ გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის განახლება

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებული. დაწესებულებას გააჩნია ვებ-გვერდი, რომელშიც მოცემულია დაწესებულების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულების ვებ გვერდი ფორმალურად არის ორ ენოვანი. ძირითადი დასახელებები ინგლისურ ენაზეა მოცემული. თუმცა თითოეული გვერდი ცარიელია, მხოლოდ ატვირთულია კონკრეტული ფაილი და არ მოიცავს მოკლე აღწერას ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები;
- ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- დაწესებულების ვებ გვერდი
- მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია დაწესებულების ვებგვერდის სიახლეების და ასევე სხვა მნიშვნელოვანი განყოფილების უზრუნველყოფა ინგლისური ენაზე.**

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.

○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
რეკომენდაცია 29: ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს მიმდინარე კვლევითი აქტივობების შესაბამისად, პრიორიტეტი მიენიჭოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების პროგრამებს. **რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ დაწესებულების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქო. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით სულ შემოსავალია 1 669 000 ლარი. შრომის ანაზღაურება 1 280 000 ლარი. ბიუჯეტის მიხედვით დაწესებულებას პერსონალის წახალისების მიზნით გამოყოფილია 25 000 ლარი, ხოლო პროფესიული და სამეცნიერო განვითარების მიზნით - 30 000 ლარი. აღნიშნული აქტივობები მოცემულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელშიც ჩანს თითოეულ აქტივობასთან მიმართებით დაგეგმილი ხარჯები. კერძოდ სამოქმედო გეგმის 1.3 აქტივობა გულისხმობს ტრენინგს აკადემიური პერსონალისათვის, 6.3 აქტივობა გულისხმობს სწავლების ხარისხის მექანიზმების ეფექტურობის განვითარებას, 6.4 აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას. **რეკომენდაცია 30: სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ზოგჯერ უნდა ჩატარდეს ფინანსური აუდიტი და მისი ანგარიში გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე** **რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.** როგორც დაწესებულების წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, დაწესებულება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს საპატრიარქოს მიერ. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საპატრიარქოს საფინანსო განყოფილებას, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ამ მიმართულებით. დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი ფინანსური აუდიტის დასკვნები ანალიზისათვის. ასევე აუდიტის ანგარიში არ არის გამოქვეყნებული დაწესებულების ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამოქმედო გეგმა; • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ფინანსური მონიტორინგის ანგარიში გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ისტორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი	240	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
2	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	გადაწყვეტილება № 274699 23/03/2021
3	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი (კვ.კოდი 04	240	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
4	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	იზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (კვ.კოდი 04)	240	აკრედიტებული ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 169 28/11/2018 ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
5	ხელოვნებათმცოდნეობა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (კვ.კოდი 02)	240	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
6	ფილოლოგია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (კვ.კოდი 02)	240	ავტორიზებული	ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
7	ჟურნალისტიკა	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი (კვ.კოდი 03)	240	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
8	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის ბაკალავრი (კვ.კოდი 05)	240	ავტორიზებული	ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
9	აგრარული მეცნიერებანი	ქართული	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (კვ.კოდი 08)	240	ავტორიზებული	ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
10	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	იზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (კვ.კოდი 04)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
11	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი (კვ.კოდი 04)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019

12	აგრარული მეცნიერებანი	ქართული	აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 08)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
13	ქართველური ენათმეცნიერება	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 02)	120	ავტორიზებული	ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
14	ხელოვნებათმცოდნეობა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 02)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
15	ფილოლოგია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 02)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
16	ისტორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 02)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
17	არქეოლოგია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 02)		ავტორიზებული	ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
18	ჟურნალისტიკა	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი (კვ.კოდი 03)	120	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 29 23/08/2019
19	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის მაგისტრი (კვ.კოდი 05)	120	ავტორიზებული	ადაწყვეტილება № 29 23/08/2019
20	მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა	ქართული	განათლების მაგისტრი 300 (კვ.კოდი 0114)	300	ავტორიზებული	გადაწყვეტილეზა №1019978 25/11/2020
21	მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლოპროგრამა	ქართული	კვალიფიკაცია არ ენიჭება. გაიცემა სერთიფიკატი	60	ავტორიზებული	გადაწყვეტილება № 30717 26/01/2021